# თავისუფალი საქართველო

№31
10 - 16 სექტემბერი
1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

## პრეზიდენტის სახელით პრეზიდენტის წინააღმდეგ

მარადიული ფასეულობები და მათთვის თავშეწირული გმირები, ადრე თუ გვიან, იქცევიან შემოსავლისა და პოლიტიკური კაპიტალის დაგროვების წყაროდ უპატიოსნო ადამიანებისთვის, რომლებიც, ახალი ალტერნატივების ჟამს, ბალასტად გადაიქცევიან ხოლმე და ხშირად გადაწონიან კიდეც გულწრფელი მიმდევრების ძალისხმევას. ჩვენ უკვე ვიგემეთ ეროვნულებად გარდასახული ინტერნაციონალისტების კამარილია, ვიხილეთ თავისუფლების ჯალათი მერაბ კოსტავას პორტრეტის ფონზე, შევესწარით ჭეშმარიტი სარწმუნოების მდევნელის "მოქცევის" ფარისევლურ რიტუალს. წინ ახალი გამოცდა გველის - გამოცდა ზვიად გამსახურდიას, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, უსიცოცხლო კერპად ქცევისა მისი დამამხობლების მიერ. მაგრამ დავფიქრდეთ, ჩვენით ხომ არ მზადდება ეს ფარსი?

* * *

საქართველოს პირველი პრეზიდენტის საყოველთაო აღიარება გარდუვალია - პროცესი უკვე დაიწყო და გაგრძელდება. თითქმის გადავიდა ის დრო, როდესაც ზვიადის სახელის ხსენება დანაშაულის ტოლფასი იყო. პირიქით, ახლოვდება ეტაპი, როდესაც, შესაძლოა, ანგარიშსწორების ახალი ტალღა სწორედ პრეზიდენტის სახელით აზვირთდეს და, მრავალ დამნაშავესთან ერთად, მრავალი უდანაშაულოც შეიწიროს.

დღეს უკვე მიმდინარეობს ზვიად გამსახურდიას სახელით ყოვლად გაუმართლებელი სპეკულაცია, რომელიც ხან კომიკურ, ხან ამაზრზენ, ხანაც საშიშ სახეს იძენს. მისი სახელობის ორგანიზაციების, საარჩევნო ბლოკების, გაზეთების შექმნა შინ თუ გარეთ (განურჩევლად იმისა, პატიოსან თუ უპატიოსნო მიზნებს ისახავენ მათი დამაარსებლები); მის მიერ დაარსებული ორგანიზაციებით მანიპულირება; მისი ნააზრევის დოგმებად და იდეოლოგიური შანტაჟის იარაღად გადაქცევა; ნააზრევის უადგილო ციტირება ყოველ საბაბგარეშე, ხშირად კონტექსტიდან ამოგლეჯით; მემკვიდრეობის გამოცემა საავტორო უფლებების გაუთვალისწინებლად; ფოტოსურათების ტირაჟირება იაფფასიანი კალენდრების გარეკანზე, გაზეთის პირველ გვერდზე იმისდა მიუხედავად, ითხოვს თუ არა ამას მომენტი; ოჯახის წევრთა სახელით არგუმენტირება სიმართლისა თუ ტყუილის; შვილების, შვილიშვილების პლაკატურ პერსონაჟებად გამოსახვა.

მავანთათვის ეს მხოლოდ შემოსავლის წყაროა, მავანი კი იმედს არ კარგავს, რომ ამგვარი გზით რაღაც უფრო მნიშვნელოვანს გამორჩება - ძალაუფლების უსუსურ ნაგლეჯს ან ვიწრო ნიშას პოლიტიკურ სპექტრში; ზოგიც იქნებ გულწრფელია თავის მცდელობაში, უკვდავყოს თავისუფლებისთვის მებრძოლი პრეზიდენტის სახელი.

ასეა თუ ისე, იქმნება ფენა იდეის პროფანატორთა და მომხმარებელთა, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, ქმნიან ახალ კონიუნქტურას - პოლიტიკურს, სოციალურსა და საბაზროსაც კი.ასეთ ვითარებაში, სურთ თუ არა, მმართველი კლანები ვერ დარჩებიან გულგრილნი და არ დაუშვებენ ამ ცოცხალი კაპიტალის სხვის ხელში მოქცევას. იწყება ბუნებრივი კონკურენცია და ამის პირველი ნიშნები საქართველოში უკვე არის.

ცხადია, ამ კონიუნქტურის შექმნას აქვს მყარი საფუძველი - თვით იდეის უძლეველობა - და, ცხადია ისიც, რომ მთელი ეს კამპანია მხოლოდ უსუსური მცდელობაა დაეუფლო და კერძო მიზნებისთვის, ანგარებით გამოიყენო დაუმარცხებელ ფასეულობად ქცეული კატეგორიები. მაგრამ რაღაც ეტაპზე ეს ბუნებრივი ლტოლვა მერკანტილური სოციუმისა იმართება უფრო ძლიერი მექანიზმებით, რომლებიც ჯერ ხელს უწყობენ ამ ტრაგიკომიკური წარმოდგენის გათამაშებას, ავტორიტეტის გაუფასურებას, ხოლო შემდეგ ვითომდა მშველელად მოევლინებიან მათ მიერვე შერყვნილ ფასეულობებს, ცოცხალ იდეას და მი ერთადერთ ჭეშმარიტ მემკვიდრედ მოაქვთ თავი.

და ამ ქაოსში ცდილობენ, ჩაკლან მთავარი - თავად იდეა, რომლისთვისაც თავი გაწირა გმირმა, რომელიც აცოცხლებს მის სათაყვანებელ სამშობლოს, რომელზეცაა დაფუძნებული ერის თვითგადარჩენის მრავალსაუკუნოვანი საიდუმლო და რომელიც კვლავ ითხოვს თავდადებულ ძალისხმევას - არა კომერციულ ალღოსა და გაქნილობას, არამედ ღვთიურ წვდომასა და. ამქვეყნიური პასუხისმგებლობის ტვირთთან შეჭიდებას.

* * *

მარადიული იდეის მემკვიდრეობა არ განიზომება არც იურიდიული, არც პროპაგანდისტული, არც ნათესაური და, მით უფრო, მატერიალური ნიშნით, თუ არ ხდები თანაზიარი სამშობლოსთვის შეწირულთა ხვედრისა; თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მცირე თუ დიდი მასშტაბით, შენში არ მეორდება თავგანწირვის მისტერია. რაღაც დრომდე, შესაძლოა, ეს არც ითხოვდეს დიდ მსხვერპლს, იქნებ დაგინდოს კიდეც მორიგი გამოცდისთვის. გამოცდა კი ყველაფრით ხდება - სიკეთითა და ბოროტებით, სიამითა და ტანჯვით, სილატაკითა და სიმდიდრით, მარტოობითა და თანამოაზრეთა სიმრავლით, მიუღებლობითა და თაყვანისმცემელთა ხოტბით, მაგრამ ამ გზის ღირსეულად გავლის შემდეგ უცილობელ დგება ჟამი მთავარი არჩევანისა.

ვის შეუძლია თქვას წინდაწინ - მე მზად ვარ ამისთვის და ამიტომ ახლავ მერგება ის, რაც ჩემს წინამორბედთა სისხლითაა მოპოვებული? ვის აქვს უფლება კრედიტის სახით მოითხოვოს სხვისი ღირსების წილი საქმეში დასატრიალებლად?

მაგრამ საქმეც ისაა, რომ ჭეშმარიტი მემკვიდრე არც არასდროს ითხოვს დივიდენდს. იგი მოდის და იღებს, რაც ეკუთვნის - პასუხისმგებლობის ტვირთსა და, მასთან ერთად, სისხლმდენ იარებს...

ნეტარ არს ის რჩეული რჩეულთა შორის, ვინც მოესწრება ჯილდოდ სიყვარულსა და აღიარებას.

*ანა ჭავჭავაძე*



## 1996 წლის 9 აგვისტო გროზნო

საქართველოს პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას რეზიდენციის ეზოში 8 აგვისტოს გაიმართა მიტინგი. მის საფლავთან მოეწყო გროზნოს განთავისუფლებისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმი.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები, პარლამენტის წევრები, სამხედრო მეთაურები, ჩეჩნეთის სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლები. უკლებლივ ყველა გამომსვლელმა აღნიშნა ზვიად გამსახურდიას ღვაწლი კავკასიელ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ისაუბრეს ზვიად გამსახურდიასა და ჯოჰარ დუდაევის ერთობლივი იდეის შესახებ საერთო-კავკასიური სახლის შექმნის თაობაზე.

აღლუმის მონაწილეებმა პატივი მიაგეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნათელ ხსოვნას - წვევამდელებმა მის საფლავთან დადეს სამშობლოს ერთგულების ფიცი და პირდაპირ აღლუმიდან მწყობრად გაემართნენ სამხედრო პოზიციებზე.

აღლუმი მიიღო სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის მეთაურმა, პოლკოვნიკმა ერაპილოვმა.

***ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე***

***მათე ციხესაშვილი***

კონსტანტინე გამსახურდია

ზვიად გამსახურდია

პრეზიდენტი - დისიდენტი - მოწამე

KONSTANTIN GAMSACHURDIA

SWIAD GAMSACHURDIA

Dissident - Präsident - Märtyrer



### თავი მეცამეტე
### პრეზიდენტის მკვლელობა

1994 წლის 5 იანვარს საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, თითქოს პრეზიდენტ გამსახურდიას მეუღლის თქმით, პრეზიდენტს სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში თვითმკვლელობით დაესრულებინოს სიცოცხლე გასული წლის 31 დეკემბერს. არაოფიციალური ინფორმაციით, ეს ცნობა მომდინარეობდა "მის თანმხებ პირთაგან", რომელთაც თითქო თავი დააღწიეს ალყას, დატოვეს ოკუპირებული სამეგრელო და ბათუმის აეროპორტის გავლით მოვიდნენ გროზნოში. მაგრამ ეს ინფორმაცია არ აღმოჩნდა აუთენტური. ამ სახით იგი გავრცელებულია სააგენტო "ინტერფაქსის" მიერ, რომელსაც ჩეჩნეთის ომის მიმდინარეობისას არაერთხელ გაუვრცელებია მცდარი ინფორმაცია, რუსეთის იმპერიული პროპაგანდის ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენ ხელში ჩაგვივარდა ამ სააგენტოს მიერ მოსკოვიდან ფაქსით გამოგზავნილი ინფორმაცია გერმანული შვეიცარიის ტელევიზიისთვის. ამ დოკუმენტში ეს ცნობა ჩამოყალიბებული იყო არა ნეიტრალურად, არა როგორც ფაქტის უბრალო კონსტატაცია, არამედ ერთვოდა პოლიტიზირებული კომენტარი, დაწერილი კანონიერი ხელისუფლების მტერთა პოზიციიდან. ასე მაგალითად, ციტირებული იყო უშიშროების ყოფილი უფროსის ი. ბათიაშვილის სიტყვები, რომლის თქმითაც, "ექსპრეზიდენტმა" წამოიწყო სამოქალაქო ომი, შექმნა პარანოიდული სიტუაცია და ა.შ. ერთი სიტყვით, სააგენტო ცდილობდა "აეხსნა" დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებისთვის, რომ თვითმკვლელობა სავსებით ლოგიკური დასასრული იყო ამ პოლიტიკოსის გზისა. მაგრამ მათი 99 პროცენტისთვის ეს ვერსია არადამაჯერებლად გამოჩნდა.

როდესაც თბილისში ჯერ კიდევ არავინ არაფერი იცოდა ამ ამბავთან დაკავშირებით, "მხედრიონის" წარმომადგენლებმა ტელევიზიით უარყვეს რაიმე თანამონაწილეობა ზვიად გამსახურდიას სიკვდილში. თბილისიდან ვითომდაც გაიგზავნა პროკურატურის გამომძიებელთა ჯგუფი სამეგრელოს იმ სოფელში, სადაც, ინფორმაციის მიხედვით, უნდა მომხდარიყო ეს ამბავი, მაგრამ, კომისიის წევრთა თქმით, მათ "ვერაფერი გაარკვიეს" და ვერც საფლავი აღმოაჩინეს. ამის შემდეგ თითქმის ორი თვის განმავლობაში ქმნიდნენ შთაბეჭდილებას, რომ გამალებით ეძებდნენ საფლავს, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. პარალელურად, ოფიციოზი თბილისში თავს ისულელებდა და აკეთებდა იდიოტურ განცხადებებს. მაგალითად, ისიც კი ითქვა, თითქოს პრეზიდენტი გროზნოში მოუკლავთ შემთხვევით ატეხილი სროლის შედეგად, ხოლო შემდეგ ფარულად გადმოუსვენებიათ სამეგრელოში. თუმცა, ამგვარი აბსურდული განცხადებებისა არავის სჯეროდა. პრეზიდენტის საფლავის აღმოჩენით და გროზნოში გადასვენებით, მისი ოჯახის გარდა, დაინტერესებული იყო ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას ხელმძღვანელობა. იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა შევარდნაძის რეჟიმთან. პრეზიდენტის დაცვის უფროსმა, მარგველანმა, ივალდებულა ეჩვენებინა პრეზიდენტის საფლავი სპეციალური კომისიისთვის. 1994 წლის თებერვალში ორი რესპუბლიკის დელეგაცია (ჩეჩნეთის მხრიდან - იჩქერიას ახლანდელი პრეზიდენტის ზელიმხან იანდარბიევის, ხოლო საქართველოს მხრიდან - შევარდნაძის მარჯვენა ხელის ავთანდილ მარგიანის მეთაურობით) ჩავიდა სოფელ ჯიხაშკარში. მათ გახსნეს საბძელში დამალული ხის სასახლე, რომელშიც ჩასვენებული იყო პრეზიდენტის ცხედარი და ექსპერტიზის გარეშე გადაასვენეს გროზნოში.

როგორც არაოფიციალური მონაცემებიდან ირკვევა, ცხედრის დათვალიერებისას ყურადღებას იქცევდა შემავალი ჭრილობა შუბლის მარჯვენა მხარეს, რომელიც გამოდიოდა მარცხენა ყურთან, კისრის არეში. მისი თანმხლები პირნი ამტკიცებდნენ, რომ პრეზიდენტმა გამოიყენა "სტეჩკინის" სისტემის პისტოლეტი, რომელიც დაახლოებით 30 სანტიმეტრის სიგრძისაა. თვითმკვლელობის ვერსიას ეჭვის ქვეშ აყენებს ტყვიის ტრაექტორია, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია პისტოლეტის ისე დაჭერა, რომ იქიდან გასროლილმა ტყვიამ ამგვარი მიმართულებით შეაღწიოს თავის არეში. თვითმხილველებმა ცხედარზე ამოიცნეს აგრეთვე მოწამვლის ნიშნებიც.

(გაგრძელება მე-4-ე გვერდზე)

ეროვნული

# გაგმარჯვებიყოსთ მტერზედა

მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნეთში სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ფართომასშტაბიანი ბრძოლები შეწყდა, სიტუაცია ქვეყანაში მაინც დაძაბული და ფეთქებადსაშიში რჩება.რუსული პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი, სრულიად სამართლიანად, ჩეჩნეთის ომის ფინალს "სამარცხვინო კაპიტულაციას" უწოდებს. ბევრი მათგანი გრძნობს, რომ რუსეთის ჯარს არ შესწევს ძალა ჩეჩენთა დასამარცხებლად და ხელშეკრრულებას იძულებით ნაბიჯად მიიჩნევს, ხოლო მეორენი ვერ შეგუებიან მარცხს და ლებედ-მასხადოვის ხელშეკრულების კანონიერებას ეჭვქვეშ აყენებენ. ამ უკანასკნელთა შორის განსაკუთრებული აქტიურობით კომუნისტები და ჟირინოვსკელები გამოირჩევიან - "ასე თუ გაგრძელდა, მალე რუსეთში მოსკოვი და რამდენიმე ახლომდებარე ქალაქიღა დარჩება" - განაცხადა გამწარებულმა ვ. ჟირინოვსკიმ. უდავოა, არც კომუნისტებსა და არც სხვა ძალებს, რომლებიც კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ ლებედის მოღვაწეობას, არანაირი გეგმა არ გააჩნიათ ჩეჩნეთის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. მათი "პატრიოტული" გამოსვლები, უწინარეს ყოვლისა, ელცინის და მისი გუნდის (ომის გამჩაღებელთა და ამ ომში სამარცხვინოდ დამარცხებულთა) წინააღმდეგ არის მიმართული.

-თავად ელცინი, როგორც იქნა, გამოეხმაურა ხასავიურტში მიღწეულ შეთანხმებას და მოიწონა მისი შედეგები, თუმცა, აღნიშნა, რომ რუსეთის ჯარების ოპერატიულად გამოყვანის წინააღმდეგია. ლებედის აზრით, რაც უფრო დიდხანს დარჩებიან რუსეთის ჯარები ჩეჩნეთში, მით უფრო გაიზრდება საომარი მოქმედებების განახლების შესაძლებლობა. ასე რომ, მიუხედავად ელცინის მიერ დეკლარირებული მხარდაჭერისა სამშვიდობო პროცესისადმი, ერთ უმთავრეს საკითხში მასსა და უშიშროების საბჭოს მდივანს შორის თანხმობა არ არის მიღწეული. რასაკვირველია, ფედერალური ჯარების გასვლამდე, ჩეჩნეთის კანონიერი მთავრობა არავითარ არჩევნებზე არ დათანხმდება. რუსეთის ჯარის თანხლებით ერთხელ უკვე ჩატარდა ჩეჩნეთში "არჩევნები", რომლის შედეგად "არჩეული" სახელმწიფოს მეთაურის, დოკუ ზავგაევის მუდმივი ყოფნა მოსკოვში და არა იმ ქვეყანაში, რომლის მეთაურადაც მას თავი წარმოუდგენია, მიუთითებს ამ "არჩევნების" "სამართლიან" ხასიათზე...

ასე რომ, ჩეჩნეთში მყარი მშვიდობის მიღწევამდე ჯერ კიდევ შორია. მით უმეტეს, რომ რუსეთის სპეცსამსახურები ყოველმხრივ ცდილობენ გაითამაშონ ე.წ. "ავღანური სცენარი" და თავიანთი წასვლის შემდეგ ქვეყანაში შინაომი გააჩაღონ. ამგვარი მცდელობები რუსეთის მხრიდან არახალია. 1991 წლიდან განუწყვეტლივ მიმდინარეობდა მუშაობა ამ მიმართულებით. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი მათ მცდელობებს არ მოჰყოლია და რუსეთის ფედერალური ჯარების შეყვანაც სწორედ მას შემდეგ გადაწყდა, რაც რუსეთის მიერ შეიარაღებული ოპოზიციური რაზმები რამოდენიმე საათში იქნა განადგურებული ქ. გროზნოში 1994 წლის 4 ნოემბერს. ახლახან მოსკოვში მყოფმა "სტიუარდესა დოკუმ", რომელსაც აეროპორტისა და მოსკოვისკენ მიმავალი საფრენი აპარატებისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გამო შეარქვეს ეს სახელი, ხმაში მრისხანება გაურია: ჩემი მომხრეები იარაღდებიან და ქვეყანაში ბანდიტების თარეშს არ დაუშვებენო. თუკი დოკუ გაპურის ძის განცხადებებისა და ქმედების ჭკუასთან ახლო ყოფნის საკითხი უკვე გადაწყვეტილია, რუსეთის უშიშროების სამსახურის რეალური ქმედებანი სულაც არაა უსაფრთხო. როგორც გაზეთი "არგუმენტი ი ფაქტი" იუწყება, სოფელ ზნამენსკოეში შევიდა იარაღითა და ტყვიაწამლით დატვირთული ორი "კამაზის" ტიპის მანქანა. ეს შეიარაღება ჩეჩნეთის კანონიერი ხელისუფლების მოწინააღმდეგეთათვის არის განკუთვნილი.

ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას ხელისუფლება ოპერატიულად გამოეხმაურა მოარულ ხმებს ჩეჩნეთში სამოქალაქო ომის დაწყებასთან დაკავშირებით. ჩეჩნეთის ინფორმაციის მინისტრმა მოვლადი უდუგოვმა გააკეთა განცხადება, სადაც აღნიშნულია,რომ "ჩეჩნეთის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ილვაწოს ჩეჩენთა შორის ერთობის შენარჩუნებისათვის." მ.უდუგოვმა ინსინუაციები უწოდა ჩეჩენთა შორის სამოქალაქო ომის გაჩაღების შესაძლებლობის შესახებ გავრცელებულ ჭორებს. ამავე თემას შეეხო თავის გამოსვლაში ჩეჩნეთის საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელი გეისან თეიმურაზოვი: "ჩეჩენი ხალხის გაყოფა შეუძლებელია. იყო ზოგიერთი არამზადა, რომელიც რუსეთის დაკვეთის შესაბამისად მოქმედებდა და მშობელ ერს ებრძოდა, მაგრამ თავად ხალხი არასოდეს დაპირისპირებია და არც დაუპირისპირდება ერთმანეთს. ჩვენ არ გვჭირდება სისხლი და ძალადობა".

- უეჭველია, რომ რუსეთის ხელისუფლების და თავად რუსების დიდი ნაწილის შოვინისტური მენტალიტეტი არ არის მზად, რომ თვალი გაუსწოროს რეალობას - აღიაროს ჩეჩენთა ბრძოლის სამართლიანობა და მათი გამარჯვების კანონზომიერება. უმრავლესობის გონება რუსეთში ისეა მოწყობილი, კიდეც რომ შეურიგდნენ ჩეჩნეთის გასვლას რუსეთის შემადგენლობიდან, მერე იმის ფიქრით ჩავარდებიან საგონებელში, - ვაითუ, ჩეჩნებმა შეინარჩუნონ ეროვნული თანხმობა, მოახერხონ ეკონომიკის აღდგენა, დანგრეულის აშენებაო... რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, გამოკითხვათა შედეგებმა აჩვენეს, რომ რუსეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ახარებს ავღანეთში გაჩაღებული შინაომი და სისხლის ღვრა. მათი პრინციპი - "თუკი ჩვენთან ყოფნა არ გინდა, გისურვებ ყოველივე ცუდს", ჩეჩენთა მიმართაც ვრცელდება და მომავალშიც გავრცელდება.

იმედი უნდა გამოვთქვათ, რომ რუსეთის მცდელობას ჩეჩენთა შორის შუღლის ჩამოგდების მიზნით, გამარჯვება არ უწერია. ჩეჩენთა ერთიანობა ამ ომის განმავლობაში ერთხელაც არ შერყეულა. თვით ჯოჰარ დუდაევის სიკვდილიც, მხოლოდ დუღაბი აღმოჩნდა მათთვის. ამასთან ერთად, სათვალავშია ჩასაგდები ჩეჩენთა მცირერიცხოვნობაც, მათი მტკიცე ნათესაური კავშირები და აგრეთვე იმის შეგნება, რომ სამოქალაქო ომი მართლაც დამღუპველი იქნება მათი სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობისთვის. ჩეჩნებმა არაერთხელ დაამტკიცეს, რომ მათ ისტორიიდან სწორი დასკვნები გამოაქვთ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, 10 სექტემბერს ჩეჩნეთში გაიმართება პოლიტიკურ ძალთა ყრილობა. "ჩვენ დავადასტურებთ, რომ ჩეჩნეთში არ არსებობს სამოქალაქო ომის საფრთხე. შეიქმნება არჩევნების საორგანიზაციო კომიტეტი და როგორც კი რუსები გავლენ, ჩატარდება არჩევნები" - განაცხადა ინფორმაციის მინისტრმა მოვლადი უდუგოვმა.

* * *

6 სექტემბერს ჩეჩნეთში დამოუკიდებლობის 5 წლისთავი აღინიშნა. ჩეჩნური ადათის თანახმად, გადაიხადეს გარდაცვლილთა სულის მოსახსენებელი, ჩატარდა მსხვერპლშეწირვის რიტუალი.

გროზნოში გამართულ მიტინგზე გამოვიდა ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი - ზელიმხან იანდარბიევი: "არ მოდუნდეთ, რადგანაც წინ უმძიმესი განსაცდელი და ურთულესი სამუშაო გველის" - მიმართა მან მოსახლეობას.

მთელი დღის განმავლობაში, გროზნოს ქუჩებში დაქროდნენ ჩეჩნეთის ეროვნული დროშებით დამშვენებული მანქანები.

ჩეჩნები ერთმანეთს ულოცავდნენ თავისუფლების, დამოუკიდებლობის დღეს...

"გაგმარჯვებიყოსთ მტერზედა!..."

*ნუგზარ წიკლაური*

## თავისუფალი იჩქერიის პრეზიდენტს - ზელიმხან იანდარბიევს, გმირ ჩეჩენ ხალხს

**ბატონო პრეზიდენტო, ძმებო ვაინახებო!**

უდიდესი აღტაცებითა და სიხარულით გილოცავთ გამარჯვებას. გმირმა ვაინახმა ხალხმა თვალნათლივ დაამტკიცა, რომ ბოროტებასთან ბრძოლაში უნივერსალური იარაღი მხოლოდ თავგანწირვაა. გილოცავთ ამ უდიდეს ზეიმს. ბედნიერი ვარ იმით, რომ პირადად ვიცნობდი იჩქერიის პირველ პრეზიდენტს, ჯოჰარ დუდაევს. ამ დიდებული ვაჟკაცის სული ახლა თქვენთან ერთად ზეიმობს. ზვიად გამსახურდიასა და ჯოჰარ დუდაევის საქმე უკვდავია და დამარცხება არ უწერია ისევე, როგორც არ უწერია დამარცხება და უკვდავია კავკასიური ერთობა და ძმობა.

გაუმარჯოს თავისუფალ იჩქერიას და მის გმირ ვაინახ ხალხს!

გაუმარჯოს თავისუფალ კავკასიელთა მეგობარ საქართველოს!

**ძმური სიყვარულითა და პატივისცემით,**
**საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი,**
**პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მრჩეველი**

*ნუგზარ მოლოდინაშვილი*

1996 წლის 6 სექტემბერი

# ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად

6 სექტემბერს, ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, მერაბ კოსტავას ეზოში, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზაციების, კერძოდ, ჰელსინკის კავშირის, ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირის, ნაციონალ-კონსერვატიული პარტიის, კონსერვატიული ლიგის ინიციატივით, გაიმართა ჩეჩნეთის თავისუფლებისთვის მებრძოლთა მხარდამჭერი მიტინგი.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს დევნილი უზენაესი საბჭოს წევრები: თემურ ჯანელიძე, ლია ანდღულაძე, ბეჟან ჯავახია, იოსებ ბარათაშვილი; კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების სახელით დამსწრეთ მიმართა საზოგადოების პრეზიდენტმა ვახტანგ ბოჭორიშვილმა, ჰელსინკის კავშირის სახელით - აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარემ ავთანდილ დავითაიამ, ზვიადის პარტიის სახელით - პარტიის თავმჯდომარემ ლეილა ცომაიამ, რომელმაც გააცნო საზოგადოებას საპროტესტო მიმართვები ჩეჩნეთში რუსეთის ჯარების მოქმედებისა და საქართველოში რუსეთის თავდაცვის მინისტრის, ი. როდიონოვის მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ. სიტყვით გამოვიდნენ გაზეთ "ლაშარის გორის" რედაქტორი, პოეტი ნოდარ ჯალაღონია, ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრი ანა ჭავჭავაძე.

ქ-მა ლია ანდღულაძემ განაცხადა, რომ იჩქერიას პრეზიდენტის, ზელიმხან იანდარბიევის წარდგენით, საქართველოს დევნილი უზენაესი საბჭოს წევრები შეყვანილნი არიან ნიდერლანდებში შექმნილ ჩეჩნეთის მხარდამჭერ საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომლის წევრებიც არიან 40-მდე ქვეყნის, მათ შორის, ევროპის წამყვანი ქვეყნების პარლამენტარები.

მიტინგზე საუბარი შეეხო საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას - რა უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში გაბატონებული მარიონეტული რეჟიმი, აგრეთვე საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის კრიზისული მდგომარეობა კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე; აღინიშნა, რომ საჭიროა აქტიური მშვიდობიანი ძალისხმევა ამ მდგომარეობის დასაძლევად. როგორც მიტინგზე ითქვა, უზენაესი საბჭოს დელეგაცია აპირებდა გროზნოში ჩასვლას ამ დღისთვის, მაგრამ ეს პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა რუსეთის ჯარების მიერ ჩეჩნეთის გარშემო შექმნილი სამხედრო კორდონის გამო. მიტინგზე მიღებული იქნა ერთობლივი მიმართვა იჩქერიას ხელისუფლებისა და ჩეჩენი ხალხისადმი.

დამსწრეთ ეცნობათ, რომ საქართველოს ჰელსინკის კავშირის ინიციატივით აღდგება ოთხშაბათობები მერაბ კოსტავას ეზოში. "ამ ტრადიციას სათავე დაუდეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ. მაშინ აქ გაცილებით ნაკლები ხალხი იკრიბებოდა, ვიდრე დღესაა მოსული და მაინც ამ ეზოში ჩაეყარა საფუძველი ეროვნული მოძრაობის აღორძინებას. სიმბოლურია, რომ სწორედ დღეს დაიწყოს ამ ტრადიციის აღდგენა. ვისაც გული შესტკივა საქართველოსთვის, ვინც მზადაა იბრძოლოს მისი თავისუფლებისთვის, ყოველ ოთხშაბათს, 5 საათზე მოვიდეს ამ ისტორიულ ადგილას." - განაცხადა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან ერთად საქართველოში ჰელსინკის ჯგუფის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, ამჟამად ჰელსინკის კავშირის რუსთავის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, დეპუტატმა თემურ ჯანელიძემ.

*მ. ტუსიშვილი*

## ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას მთავრობას, გმირ ჩეჩენ ხალხს

### მიმართვა

ძმებო, ვაინახებო!

მოგესალმებით და თანადგომას გიცხადებთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ქართველი ხალხის სახელით. გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს - ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს. ქართველი ხალხი კვლავ ერთგული რჩება იმ ნებისა, რომელიც გამოხატა 1992 წელს საქართველოს კანონიერმა ხელისუფლებამ - პირველმა პრეზიდენტმა და უზენაესმა საბჭომ - ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებით. და აი, დღეს უკვე მთელი მსოფლიო რწმუნდება, რომ ჩეჩნეთი სახელმწიფოა - თავისუფალი და უძლეველი - და ამის აღიარება ფორმალური პროცედურებით ახლო მომავლის საქმეა.

თავად ის ფაქტი, რომ საქართველომ პირველმა აღიარა ჩეჩნეთის სახელმწიფოებრიობა, ხოლო საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლმა პრეზიდენტმა თავშესაფარი და განსასვენებელი ჰპოვა ჩეჩნეთის მიწაზე, საფუძველია ჩვენი მარადიული ერთობისა და კავკასიური ძმობის.

ნიშანდობლივი და სასიხარულოა, რომ სამშობლოს თავისუფლებისთვის მძიმე და სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, იჩქერიის დამოუკიდებლობის დღესასწაული აღინიშნება განთავისუფლებულ დედაქალაქ გროზნოში. დაე, ეს გახდეს იჩქერიისა და მთელი კავკასიის დამოუკიდებლობის სიმბოლო, დასაწყისი უძლეველი პროცესისა, რომელსაც ვერავითარი ბნელი ძალები ვერ აღუდგებიან!

საქართველოს დღეს უჭირს, როგორც არასდროს. თავსმოხვეული იმპერიული რეჟიმი, მისი დანაშაულებრივი პოლიტიკა ანგრევს ჩვენი სახელმწიფოებრიობის საფუძვლებს, მუსრს ავლებს ჩვენს მონაპოვარს, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ეს დროებითი მარცხია და საქართველოს უკვდავი სული კვლავ აღორძინდება, კვლავ ამოგიდგებათ მხარში თქვენს გმირულ ბრძოლაში.

ამის იმედს გვაძლევს თავად ქართველი ხალხის უდრეკი ნება, მისი სწრაფვა თავისუფლებისკენ და ჩვენი პრეზიდენტების - ზვიად გამსახურდიასა და ჯოჰარ დუდაევის თავგანწირული ბრძოლა, მათი ლეგენდარული ძმობა და თანაზიარობა სიცოცხლესა და სიკვდილში. ეს ნათელი მაგალითი გვინათებს გზას და განგვამტკიცებს ამ მძიმე ბრძოლაში, რომელიც უცილობლად ჩვენი და მთელი კავკასიის გამარჯვებით დამთავრდება.

უფალი იყოს თქვენი შემწე, გმირო ჩეჩენო ხალხო!

მუხლს ვიყრით ჩვენი დაღუპული თანამოძმეების უმანკო მსხვერპლთა და თავშეწირულ გმირთა ხსოვნის წინაშე!

გაუმარჯოს თავისუფალ იჩქერიას!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

გაუმარჯოს თავისუფალ კავკასიას!

**საქართველოს ჰელსინკის კავშირი, სრულიად საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოება, საქართველოს ნაციონალ-კონსერვატიული პარტია, საქართველოს ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება, საქართველოს კონსერვატიული ლიგა, პოლიტიკური მოძრაობა "საქართველოს ბედი", საქართველოს ზვიადის პარტია, საქართველოს ნეოკონსერვატიული პარტია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალადაშვილო, დაჯექით - ორიანი

**როდესაც სასამართლო ხელისუფლება შავი რევოლუციის კანონებით აზროვნებს, იგი ამავე კანონებით ისჯება**

თეორია მართლდება - საქართველოში არსებული ვერც ერთი სტრუქტურა ვერ ახერხებს თუნდაც ფორმალურად დაიცვას კანონი, თანაც მის მიერვე დანერგილი უკანონო კანონი. სასამართლო ხელისუფლება კი ამ მხრივ ყველაზე შეუფარავი კანონდამრღვევი აღმოჩნდა თავისი სპეციფიკის გამო, რომელიც იმთავითვე გულისხმობს საჯაროობას, თუ გნებავთ, ერთგვარ თეატრალურობასაც კი. უზენაესი სასამართლოს დარბაზში, როგორც საცდელ პოლიგონზე, ისე ჩანს ხელისუფლების ტექნიკური არსენალის სრული უსუსურობა, რის გამოც ვერ მოხერხდა ვერც ერთი პოლიტიკური პროცესის ჩატარება ისე, რომ თუნდაც ფორმალურად იქნეს დაცული კანონი, როგორმე მაინც შეიქმნას სამართლიანი სასამართლოს იმიტაცია.

არ შველით არაფერი: არც პოლიციური კორდონები სასამართლოს შენობაში, არც ბადრაგის გამკაცრება, არც დაზარალებულთა ისტერიული გამოსვლები ფიზიკური თავდასხმების ჩათვლით, არც განსასჯელთა შუამდგომლობების აცილება და, ამის საპირისპიროდ, ბრალმდებელი მხარისადმი უტყვი მორჩილება, არც საზოგადოებრივი დამცველების დაბლოკვა განსასჯელებთან მათი შეხვედრების შეზღუდვის ჩათვლით, არც ადვოკატების დაშინება სამსახურიდან განთავისუფლებით, არც ჟურნალისტებისთვის დიქტოფონების ჩამორთმევა და აუდიოჩანაწერების აკრძალვა, არც საგამოძიებლო პროცედურების დარღვევა, არც საიდუმლო სერობები პროკურატურაში დილა-სალამოს, შესვენებებზე კი სატელეფონო კონსულტაციები მთავარ ინკვიზიტორთან, არც პროკურატურის ზემდგომი პირების რჩევები გაზეთებისადმი - თავი დაანებონ საბრალო მოსამართლეს, რომელსაც თავისი პირადი პრობლემებიც ჰყოფნის და, საერთოდ, უფრო "ობიექტურად" ასახონ პროცესი.

სასამართლო ხელისუფლება მაინც ჩიხში მოექცა, მაინც იძულებული გახდა, აშკარა და უხეშ კანონდარღვევებზე წასულიყო და რამდენჯერმე ეღიარებინა კიდეც, რომ არღვევს კანონს. აი, სულ ახლახანაც, საქვეყნოდ იქნა დაკმაყოფილებული პროკურატურის შუამდგომლობა დამატებითი მოწმეების დაკითხვის შესახებ და უარი ეთქვა ასეთივე შუამდგომლობას განსასჯელთა მხრიდან. მოსაფიქრებლად მოსამართლე ალადაშვილს მთელი საღამო დასჭირდა. საფიქრალია, რომ გადაწყვეტილება მას მსაჯული ქალბატონების - იჩკიტაძისა და დევდარიანის კამპანიაში არ მიუღია და მეორე დილას იძულებული გახდა ლამის პირდაპირ განეცხადებინა, რომ არ არის დაინტერესებული ობიექტური ჭეშმარიტების დადგენითა და სამართლიანი განაჩენით, მას მხოლოდ პროცესის რაც შეიძლება მალე დამთავრება და უკვე შედგენილი განაჩენის წაკითხვა ევალება.

განსასჯელებმა სრულიად სამართლიანად ჩათვალეს, რომ ასეთი სასამართლო მათ გარეშეც გაართმევს თავს ესოდენ "რთულ" ამოცანას და დატოვეს დარბაზი. რამდენიც არ უნდა ეცადოს ალადაშვილი ეს წასვლა სასამართლოს შეურაცხყოფისთვის გაძევებად მონათლოს, გადაწყვეტილება მაინც თავად განსასჯელებმა მიიღეს: მაისის ბოლოს - მოლოდინაშვილმა, ხოლო სექტემბრის დასაწყისში - ძიძიგურმა და ბოკუჩავამ.

მეტიც, სამივე შემთხვევაში მოსამართლე პრინციპულად არ იმჩნევდა შეურაცხყოფას, რომელსაც, ზრდილობის ფარგლებში, არ აკლებდნენ განსასჯელები. იგი, რომ იტყვიან, ჯიუტად ყლაპავდა ყველაფერს, რათა მოწინააღმდეგეს თავისი არ გაეტანა; დაბოლოს, მაინც იძულებული გახდა, გაეძევებინა დარბაზიდან განსასჯელები. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მოსამართლეს სულაც არ ადარდებს არც მისი პერსონის შეურაცხყოფა, არც კანონი; კულუარებში კიდეც დაიტრაბახებს - ნახეთ, რამდენი მოვუთმინეო. ერთი სიტყვით, სასამართლო ხელისუფლება იმავე სამყაროს კანონებით აზროვნებს, რომელსაც რეალურად ეყრდნობა. და ასევე მეტყველებს... სულ ახლახან, ოდეს შეიტყო ბ-ნმა ალადაშვილმა, რომ ერთ-ერთ განსასჯელთან მომღვარი მოსულა აღსარების მისაღებად, უზენაესი სასამართლოს შენობა შეაზანზარა მისმა ღრიალმა - "მღვდელი არა, ისა..." მართლაც, იკითხე მგლის თავზე სახარება...

მგელი კი მგლად [illegible] ქურქშიც არ უნდა გაეხვიოს, როგორც კი წააწყდება პრინციპულ წინააღმდეგობას, რომელიც გამორიცხავს რაიმე გარიგებას ჭეშმარიტების საზიანოდ, უმალ გამოაშკარავდება ხოლმე.

ამავე დღეებში უზენაეს თუ საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს მხედრიონელთა საქმეების განხილვა და, საგულისხმოა, რომ მათი უმრავლესობა არ, ან ვერ სამართლდება იმ რეალური დანაშაულისთვის, რაც მართლაც ჩაუდენიათ. მაგალითად, სამთავრობო დაცვაში, ძალოვან სტრუქტურებში მომუშავე მხედრიონელებს ბრალად სდებენ იარაღის ტარებას, მაგრამ არავინ მოსთხოვს მათ პასუხს კანონიერი ხელისუფლების დამხობისთვის. ვერც მოსთხოვენ, რამეთუ მათ მიერ დათესილის ნაყოფს დღეს იმკის ხელისუფლების ყველა შტო, სასამართლოს ჩათვლით.

ამ პროცესების ფონზე სულ უფრო ნათელი ხდება, რომ "მხედრიონი" არ არის კონკრეტულ პერსონათა გაერთიანება, არამედ ესაა უკანონობის სინდრომი, რომელიც მაშინვე იჩენს თავს, როგორც კი უზურპატორს ხელიდან უსხლტება ძალაუფლების თუნდაც უმცირესი ნაწილი (ინიციატივა, ან გნებავთ ფსიქოლოგიური პრიორიტეტი). და ჩვენს თვალწინ, კანონის თავაზიანი გუშაგი გამძვინვარებულ დამრბევად იქცევა, მოსამართლე - "ძველ ბიჭად", დინჯი პოლიტიკოსი - ჯალათ-პროკურორად, ინტელიგენტი - დახვრეტის იდეოლოგად.

მაგრამ იმავე სამყაროს კანონით - დაარქვით ამას გინდ შავი სამყაროს კოდექსი, გინდ რევოლუციური კანონი; უმჯობესი კი, ალბათ, "შავი რევოლუციის კანონი" იქნებოდა - ბინძური საქმის შემსრულებელი საბოლოოდ იწირება, მით უფრო, თუ დავალებას სათანადოდ ვერ გაართვა თავი. ე.წ. "ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი აფეთქების" საქმის განხილვის შემდეგ, უზენაესი სასამართლოს წევრი მირზა დოლიძე ათი წლით გარანტირებული საპატიო სავარძლიდან გადაისროლეს რიგით განყოფილების გამგედ პროკურატურაში - ახლოს შეფებთან, მათი მეთვალყურეობისა და კონტროლის ქვეშ.

რა ელის ალადაშვილს, ვინ უწყის - უბრალოდ, ყურს აუწევენ და ორიანს დაუწერენ? თუ...

*რომანოზ საგინაშვილი*

## მოწმეების აუცილებლობა სასამართლოზეა და არა მოხეტიალე შაპიტოზე

**ეგრეთ წოდებულ სასამართლო პროცესზე წასაკითხად**

**მიმართვა**

უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მკვეთრად იმატა უაპელაციო თავხედობების რიცხვმა, რის შესახებაც მინდა განვაცხადო შემდეგი:

თქვენგან საპროცესო კოდექსის და ელემენტარული ლოგიკის უხეში დარღვევით დანიშნულმა ჩემმა სახაზინო დამცველმა, ბ-ნმა გივი მორჩილაძემ დააყენა შუამდგომლობა ჩემი პროცესზე დაბრუნების შესახებ, რაზედაც, თქვენთვის ჩვეული ბრძნული ლოგიკით, უთხარით უარი. კარგად მოგეხსენებათ, მე თქვენთვის არაფერი მითხოვია, უარის მოტივაცია კი, უბრალოდ, სასაცილოა - "სასამართლოს შეურაცხყოფის გამო". ისიც კარგად მოგეხსენებათ, სასამართლოს რანგში არასოდეს მომიხსენებიხართ, თავიდანვე გითხარით, ვინც ბრძანდებით. ასე რომ, თუ თავს შეურაცხყოფილად თვლით, ხშირ-ხშირად მიირთვით ცივი წყალი, ამბობენ, შველისო.

ერთიც უნდა განგიცხადოთ: არავითარი შეურაცხყოფა არ გამოდგება შუამდგომლობის არდაკმაყოფილების მოტივად, თუ ეს შუამდგომლობა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას ემსახურება. თქვენ ელემენტარულად უნდა დაასაბუთოთ, რომ ჩემი პროცესში არმონაწილეობა ხელს არ შეუშლის ამ ჭეშმარიტების დადგენის საქმეს. კარგით, ამას, როგორც ვატყობ, თქვენთვის არა აქვს მნიშვნელობა, ქართული სამართლის თქვენეული გაგება უპრეცედენტოა და უნიკალური.

ორიოდ სიტყვით შევჩერდები მეორე შუამდგომლობაზე - დამატებითი მოწმეების დაკითხვის შესახებ. ამ შუამდგომლობაზეც მოსალოდნელი უარი იქნა ნათქვამი თქვენგან. ამაზეც მოვახსენებ საზოგადოებრიობას: პირადად მე არც ერთი დამატებითი მოწმე არ მომითხოვია. მოწმეების აუცილებლობა სასამართლოზეა და არა მოხეტიალე შაპიტოზე. ვიცი, აპელირებისთვის ჩემს ხელმოწერას ან ზეპირ თანხმობას გამოიყენებთ. გიმეორებთ, არც ერთი და არც მეორე არ არსებობს. მე შეიძლება დავთანხმებულიყავი დამატებითი მოწმეების გამოძახებაზე მხოლოდ ჩემი უშუალო მონაწილეობისას, სხვანაირად კი, არავითარ შემთხვევაში. მადლობას მოგახსენებთ, რომ თავიდან ამაცილეთ ზედმეტი შრომა, პროტესტების წერა.

ყველაფერი ზუსტად ისე მიდის, როგორც უნდა მიდიოდეს ცირკში. გისურვებთ წარმატებას ჯამბაზის მეტად რთულ და დღევანდელობისთვის საჭირო მისიის შესრულებისას.

*ნუგზარ მოლოდინაშვილი*

ენკენისთვის 3, 1996 წელი

# სასამართლო სკანდალები ბელეტრისტიკის თანხლებით

### მათ სხვადასხვა სამშობლო აქვთ

ვფიქრობდით, უზენაეს სასამართლოში მიმდინარე პოლიტიკურ სასამართლო პროცესებზე დამსწრეთ ველარაფერი გაგვაკვირვებდა, მაგრამ ბოლო დროის ინციდენტების წყებამ ეს უნარი დაგვიბრუნა. ხელისუფლების ამ ორგანოს წარმომადგენლები არ სჯერდებიან კანონთა შემოვლას ან ხისტად გაგების გზით მათ გაუკუღმართებულ გამოყენებას, არამედ ყოველ ნაბიჯზე არღვევენ კანონს თავიანთი ყოვლისშემძლე ძალების დემონსტრირებისთვის. ამით დემოკრატიულად წოდებული ხელისუფლება აღწევს კონკრეტულ მიზნებს - ანგარიში გაუსწოროს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ - კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს და ცდილობს ხალხში უიმედობის, განწირულობის განცდის გაძლიერებას, ნიჰილიზმის წარმოქმნას. ორივე ამ მიზანს წარმატებით ახორციელებს უზენაესი სასამართლოს წევრი ა. ალადაშვილი.

გასულ კვირაში განვითარებული მოვლენები ამის პირდაპირი დასტურია. პროკურატურის მხრიდან დაყენებული შუამდგომლობა დამატებითი მოწმეების დაკითხვის თაობაზე დაკმაყოფილებულ იქნა სასამართლო კოლეგიის მიერ მის ძირითად ნაწილში, მიუხედავად განსასჯელთა და მათი ადვოკატების უარყოფითი აზრისა. რაც შეეხება მათ მიერ დაყენებულ შუამდგომლობას დამატებითი მოწმეების დაკითხვის თაობაზე, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ფაქტობრივი ხელისუფლებისა და სამხედრო საბჭოს წარმომადგენლები (დაწყებული ე. შევარდნაძით), აფხაზეთის ომის სხვადასხვა ეპიზოდებთან და 1992-93 წ.წ. დასავლეთ საქართველოში მიმდინარე შეიარაღებულ დაპირისპირებებთან დაკავშირებული პირები, პრაქტიკულად არ იქნა დაკმაყოფილებული. 140 პირიდან გადაწყდა დაიკითხოს მხოლოდ ორი. განსასჯელთა მხრიდან გამოითქვა პროტესტი, რომ ბრალდების მხარემ წარადგინა 512 მოწმე, რომელთაგან დაკითხულია 200-ზე მეტი. მათ მიმართ წაყენებულ პოლიტიკურ ბრალდებათა გამო, აუცილებელია როგორც სამხედრო გადატრიალებაში მონაწილე პირების, ასევე ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენელთა დაკითხვა. სასამართლომ ეს მოთხოვნა ყურად არ იღო და ამის გამო განსასჯელებმა უარი განაცხადეს პროცესში მონაწილეობაზე.

მით უფრო გასაკვირია დამატებით მოწმეთა მიმართ პანიკური შიში, რომ მათი ელიტარული ნაწილის გამოცხადება არარეალური იყო, ნაწილის - ძალზე ადვილი, რადგან პატიმრობაში იმყოფებიან, ნაწილის კი უშედეგო - რადგან ქართველ ხალხს წარმოადგენენ და მათ სიტყვას აღარავითარი ფასი აღარ აქვს. ამდენად, ცხადია, მათი ჩვენებები გათვალისწინებული არ იქნება. უზენაესი სასამართლოს მესვეურთ ბადრი ზარანდიამ უწოდა რუსები და მოითხოვა სამშობლოს ღალატის ბრალდებით დაეხვრიტათ. გულისხმობდა, რომ მას, როგორც კანონიერი ეროვნული გვარდიის ოფიცერს, და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს სხვადასხვა სამშობლო აქვთ, რაც კიდეც გაცხადდა განაჩენში და, ალბათ, კიდევ არაერთხელ გამოვლინდება.

### მონტაჟი არ არის, არის მოწმის აშკარა, უხეში დამუშავება

დამატებით მოწმედ დაკითხული იქნა ტელეჟურნალისტი თეა სხიერელი, რომელმაც 1994 წლის მარტში, პროგრამა "საღამო მშვიდობისას" კორესპონდენტად მუშაობისას, მოამზადა სიუჟეტი ოქტომბრის ბოლოს ხობში ექვსი პიროვნების დახვრეტასთან დაკავშირებით. მან სთხოვა დახმარება პროკურატურას თვითმხილველებთან შეხვედრის ორგანიზებაში. ამგვარად, ხობის პროკურატურის შენობაში, ოთხი წარმომადგენლის, მათ შორის გენერალური პროკურორის მოადგილე გოჩა პაიჭაძის, ხობის პროკურორ ვახტანგ კოდუას და ბენიძის თანდასწრებით, მოწმე ეთერ ბიწაძისაგან აიღო ინტერვიუ. თ. სხიერელის თქმით, იგი ცდილობდა, არ დაერღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია. პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან ზეწოლა არ ყოფილა, კითხვებს აძლევდნენ მხოლოდ დეტალების დასაზუსტებლად. წამოიჭრა საკითხი - იყო თუ არა აღნიშნული ფირი დამონტაჟებული. ჟურნალისტი თ. სხიერელი თამამად აცხადებდა, რომ აღნიშნულ ფირზე მონტაჟი არ ყოფილაო.

შემდგომ ნაჩვენები იქნა მოწმე ეთერ ბიწაძის ტელეინტერვიუს ვიდეოჩანაწერი, რომელიც 18 წუთი გრძელდება. ფაქტთან დაკავშირებით ამბობს, რომ მისი სახლის მოპირდაპირე მხარეს მოთეთრო მანქანიდან გადმოვიდა წვერებიანი, საშუალო სიმაღლის კაცი, რომელსაც წვრილი ხმა ჰქონდა. თუ ის ლოთი ქობალია იყო, არ ვიცი. ლაპარაკობდნენ - მაგან მოკლაო - ამბობს მოწმე, აღწერს ნანახ ცხედრებს და გადმოსცემს თავის განცდებს. შემდგომ ამისა, კადრი მთავრდება, ჟურნალისტი და პროკურატურის წარმომადგენლები ერთვებიან საუბარში, ინტერვიუ გრძელდება 4 წუთი. მასში უკვე ე. ბიწაძე აცხადებს, რომ იცნო ლოთი ქობალია, რომელიც ტელევიზიით ჰყავდა ნანახი, უკვე მისი კოჭლობაც შემჩნეული აქვს და ამბობს - სწორედ მან ესროლა დ. ბოლქვაძესო.

დიახ, მონტაჟი მართლაც არ არის, არამედ არის ცალკ-ცალკე ჩაწერილი ორი ინტერვიუ, რომელთაგან პირველში ქალბატონი ე. ბიწაძე არაფრის თვითმხილველი არ გამოდის, მეორეში კი აცხადებს, რომ სწორედ ლოთი ქობალიას დაუხვრეტია ხობისწყლის ხიდთან სამი პიროვნება. ამ წინააღმდეგობების ასახსნელად საკმარისია პასუხი ერთ კითხვაზე, რომელიც ქობალიამ დაუსვა ჟურნალისტს: "თქვენ ინტერვიუს ყოველთვის ოთხი პროკურორის თანდასწრებით იღებთ ხოლმე?"

### ვისია, ვისია მოწმე გაბუნია?

ზუგდიდის უშიშროების სამსახურის უფროსი თემურ გაბუნია იმ მოწმეთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომელიც აგრესიულად და უტეხად ადანაშაულებს კანონიერ ხელისუფლებასა და პირადად ლოთი ქობალიას საბრალდებო დასკვნაში არსებულ და არარსებულ ყველა ეპიზოდში. რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარე მისი ჩვენების დროს იგი დაჟინებით აცხადებდა, რომ არაფრის უშუალო მოწმე არ არის, რადგან იატაკქვეშ მოქმედებდა, მაგრამ, სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფლობდა ოპერატიულ ინფორმაციას. როდესაც ადვოკატმა ფანქველაშვილმა მოითხოვა მისი წინასწარი ჩვენების გამოქვეყნება, აღმოჩნდა, რომ იგი დამატებითი მოწმის სახითაა მიწვეული. ამან გამოიწვია დიდი კამათი ადვოკატებსა და მოსამართლეს შორის, რადგან თ. გაბუნიას გვარი გამოტანილ განჩინებაში არ ფიგურირებდა. ამგვარად, ცხადი გახდა, რომ დამატებითი მოწმე თ. გაბუნია სრულიად უკანონოდ იქნა დაკითხული, მისი ენთუზიაზმიდან გამომდინარე. მოსამართლესა და ადვოკატს შორის კამათმა სკანდალური ხასიათი მიიღო, მათ უარი განაცხადეს მოწმის დაკითხვაზე და გამოცხადდა შესვენება.

### "მე პროფესიონალი პოლიტიკოსი ვარ!.."

"1992 წლის 3 ოქტომბერს დამნიშნეს საგანგებო მინისტრად აფხაზეთის საკითხებში.

ლოთი ქობალიას კარგად ვიცნობ, ზუგდიდში გავიცანი 1992 წლის მარტში. ჩავედით ირ. ბათიაშვილი, ნ. ნათაძე, თ. დიხამინჯია და სხვები. შევხვდით ოჯახში ზ. ქობალიას, ვ. შურღაიას... დაკავებული ჰყავდათ ყარყარაშვილი, ქუთათელაძე და მათი 40 კაციანი ჯგუფი. გზები გადაკეტილი იყო და დროებითი მთავრობის წარმომადგენლები ვერ შედიოდნენ. ეს შეხვედრა იყო ურთიერთგაგების მცდელობა. დავაფიქსირეთ შეთანხმება, რომელიც 15-მდე პუნქტს შეიცავდა, შევათანხმეთ თბილისში და ხელი მოვაწერეთ 12 კაცმა. ეს იყო გარკვეული ცდა დაპირისპირების მოხსნისა. ლოთი ნამდვილად ავტორიტეტს წარმოადგენდა. შეთანხმებას მან ხელი მოაწერა როგორც ეროვნული გვარდიის ოფიცერმა.

აფხაზეთში შევიდა ჯგუფი ქობალიას მეთაურობით და ჩვენ მაშინ გადავეცით მას ტექნიკის რამდენიმე ერთეული. მათ უნდა მიეღოთ მონაწილეობა ტერიტორიების გაკონტროლებასა და საზღვრების დაცვაში, საჭიროების შემთხვევაში - ომში. ორი კვირა იყვნენ და დაბრუნდნენ. მიზეზი - ქართველებს შორის არგაგება, არსიყვარული... რატომ? ეს რთული საკითხია და ამაზე საუბარი ბელეტრისტიკაა. ფაქტი კი ისაა, რომ ყოველი მხრიდან იყო ხელის შეშლა: გროზნოდან, თბილისიდან, ზუგდიდიდან, განსაკუთრებით კი მოსკოვიდან...

მე ხშირი ურთიერთობა მქონდა ლოთი ქობალიასთან, თერთმეტჯერ შევხვდი. ფილმი გადავიღე და იქ მადლობას ვუხდი მას. ჩვენი კინოჯგუფის კოლონამ ოთხჯერ გაიარა ზუგდიდზე. ერთხელ გააჩერეს და ქობალიას ჩარევით გამოუშვეს. ნაძარცვის შესახებ ლაპარაკი სასაცილოა, ეს იყო კინემატოგრაფისტთა კოლონები და ბევრი რამე მოგვქონდა - სხვადასხვა ნივთები, განათება, აპარატურა.

გაერთიანება რომ მომხდარიყო, შედეგი იქნებოდა - ომს არ წავაგებდით. მე ლოთისთან ერთად დავდგებოდი, მის მხარეზე კი ვერ გადავიდოდი. შერიგების შესაძლებლობა იყო, რატომ არ განხორციელდა, როგორ ვიტყვი? რატომ განხორციელდა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ჩეჩნეთში და აქ არა? უნდობლობა დიდი იყო და იმიტომ. ბევრი ფაქტორი იყო - ერთი როგორ გითხრათ, მე პროფესიონალი პოლიტიკოსი ვარ - ასეთ კითხვაზე როგორ უნდა გიპასუხოთ? რატომ არ ემორჩილებოდა ერთიან სარდლობას არც ეს და არც ის მხარე? კიტოვანი რატომ არ შევიდა? ქართველები იყვნენ და იმიტომ! მზადყოფნა იყო თითქოს, მაგრამ ათასი მიზეზის გამო არ მოხდა შერიგება, დღემდე არ მოხდა!

ვისი ბრალია? მე აქეთა ბანაკში ვარ და, ცხადია, ვთვლი, რომ იმათი ბრალია, მაგრამ ეს მე ვთვლი ასე! მაგათ გზები რომ არ გადაეკეტათ, ჩვენი ჩეჩენი "მეგობრები" ქართველ ქალებს არ გააუპატიურებდნენ. ჩეჩნები უვაჟკაცესი ხალხია, მაგრამ მათთვის ტყვიას არ დავიინანებ. აფხაზს არ ვესვრი, ჩეჩენს - კი. ესენი ამბობდნენ, 60 კაციაო, გაგრელებს ჰკითხეთ - გეტყვიან...

მაშ ასე, "პროფესიონალი პოლიტიკოსი" ვერ პასუხობს მთავარ კითხვებზე - რატომ იყო 1992-93 წ.წ. უნდობლობა ქართველებს შორის, "არსიყვარული," "არგაგება". იქნებ მან არ იცის, რომ საქართველოში იარაღის ძალით მოხდა კანონიერი ხელისუფლების დამხობა, რის შემდეგაც ამ ხელისუფლების ერთგულებისთვის დახვრეტილ იქნა მშვიდობიანი მანიფესტაციები თბილისში, დარბეულ იქნა სამეგრელო. ნუთუ ისიც არ ახსოვს "გალერეის პოლიტიკოსს", როგორ იმუქრებოდა ტელევიზიით, ირაკლი ბათიაშვილთან ერთად - მოვდივართ მეგრელებო! ხომ იცით, ჩვენ სპილოები ვართ, თქვენ კი წრუწუნები და ადვილად გაგისწორდებითო. იმხანად არათუ ბელეტრისტიკა, იგავის ჟანრიც გასავალში იყო, ვინაიდან "პროფესიონალ პოლიტიკოსებს" ზურგს მათ მიერ ციხიდან გაშვებული ბანდიტების ლაშქარი უმაგრებდა.

ასე რომ, ეს ბელეტრისტიკა ქართველი ხალხის სისხლით იწერებოდა.

*ირაკლი დგებუაძე*

კონსტანტინე გამსახურდია

# ზვიად გამსახურდია

დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე

## თავი მეცამეტე
## პრეზიდენტის მკვლელობა

ცხადია, ზუსტი და ობიექტური გამოძიების გარეშე ძნელია დაადგინო, თუ ვინ არის მკვლელი. ხოლო თუ საუბარი იქნება მკვლელზე ზოგადად, ეს პირველ რიგში თბილისის უკანონო რეჟიმია შევარდნაძის მეთაურობით; რაც შეეხება ტექნიკურ შემსრულებელს, ეს გაირკვევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაფიქსირდება ჩვენება იმ სამი პირისა, ვინც თან ახლდა პრეზიდენტს. ისინი მანამდე მხოლოდ ეჭვმიტანილნი რჩებიან. ამ გარემოებას კიდევ უფრო აძლიერებს ის შთაბეჭდილება, რომ ვიდეოფირზე დაფიქსირებული სპექტაკლი "ძიებისა" და "იდენტიფიკაციისა" აშკარად ხელოვნურია და ყალბი. დამაფიქრებელია კიდევ ერთი გარემოება - პრეზიდენტის ორი ერთგული დამცველი, ი. გოგაძე და ლ. ჭინჭარაული, რომლებიც პრეზიდენტს რამდენიმე დღით ადრე გარკვეული დავალების შესასრულებლად გაუგზავნია, უკვალოდ გაქრნენ და დღემდე არ გამოჩენილან. საფიქრებელია, რომ ისინი ჯერ კიდევ 31 დეკემბრამდე ჩაუვარდათ ხელში თბილისის ხუნტის დამსჯელ რაზმებს და ემსხვერპლნენ სამეგრელოში გამეფებულ ტერორსა და განუკითხაობას.

ამ იდუმალებით მოცულ ამბავს არც შემდეგში მოჰფენია ნათელი. თუმცა, ჩეჩნეთის პრეზიდენტმა დუდაევმა 1995 წლის თებერვალში, რუსეთის დამოუკიდებელ ტელევიზიასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდიას არ ჩაუდენია თვითმკვლელობა, არამედ ის მოკლეს ე. შევარდნაძის პირადი მითითებით.

მას შემდეგ, რაც სასახლე პრეზიდენტის ცხედრით გადაასვენეს გროზნოში, პრეზიდენტმა დუდაევმა მოაწყო გრანდიოზული დაკრძალვა. იგი დაემთხვა ჩეჩენი ხალხის დეპორტაციის 50 წლისთავს. ქართველების გარდა, დაკრძალვაზე ჩამოსული იყვნენ წარმომადგენლები ბალტიის ქვეყნებიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან და ყაზახეთიდან, რათა გამოთხოვებოდნენ "კავკასიის გმირს", როგორც ეს დუდაევმა ამოაკვეთინა მისი საფლავის ქვაზე. ჯოჰარ დუდაევმა ასე მიმართა სამგლოვიარო მიტინგზე თავშეყრილ საზოგადოებას:

"დღეს ვკრძალავთ საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას, ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს პიროვნებას.

ძნელია მის საფლავთან დგომა. და კიდევ უფრო ძნელია სიტყვის წარმოთქმა, რადგან მთელს კავკასიაში ვერავის მივმართავ თანაგრძნობისთვის მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დღევანდელი ტკივილი მთელი კავკასიის უბედურებაც არის.

ჩემს თავსაც ვტირი დღეს, ვინაიდან მე დავკარგე დიდი მასწავლებელი, ღირსეული თანამებრძოლი და ერთგული მეგობარი. საქართველოს ერთმა ტრაგედიამ მეორე მოიტანა, მე გულწრფელად თანავუგრძნობ ქართველ ხალხს, რომელსაც იმისი უფლებაც კი არა აქვს დღეს, რომ შვილთაგან უღირსეულესი დაიტიროს თავისი წესისამებრ და ქართულ მიწას მიაბაროს სამუდამო განსასვენებლად. და ეს არის ორმაგი ტრაგედია ქართველი ერისა.

ზვიად გამსახურდია ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. მთელი მისი ცხოვრება იყო უკომპრომისო ჭიდილი საქართველოს და კავკასიის ღირსების აღდგენისა და თავისუფლებისთვის. და მისი ბოლო ნაბიჯიც - ნაბიჯი უკვდავებაში - იყო ნაბიჯი უმაღლესი ზნეობისა და თავგანწირვისა. დიახაც, მან გასწირა თავი, რათა აღკვეთილიყო სისხლის ღვრა უთანასწორო ბრძოლაში, შესწირა თავი მის ხალხს ამ სიტყვის უზენაესი მნიშვნელობით.

ის, რომ კავკასიის დიდ შვილს დღეს ჩეჩნეთის მიწა მიიბარებს, კიდევ ერთი ზეციური დასტურია იმისა, რომ ჩვენი ტანჯული, წმიდა მიწა კურთხეულია ღმერთის მიერ და ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ამ გენიალურმა პიროვნებამ დროებითი ნავთსაყუდელი სწორედ ჩვენი დიდი წინაპრების ძვალთშესალაგში ჰპოვა.

დადგება დღე და საქართველოც, კავკასია და მთელი კაცობრიობაც გაიცნობიერებს დღევანდელი დანაკარგის მნიშვნელობას. და ის დღე შორს როდია.

სამარადისო დიდება ზვიად გამსახურდიას უკვდავ სახელს. სამარადისო დიდება მის საქმეს."

(გაგრძელება იქნება)

# პოლიცია არღვევს ადამიანის უფლებებს

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა ღია წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ბ-ნ კახა თარგამაძეს. წერილში კერძოდ ნათქვამია:

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოში პოლიციური რეჟიმის დამკვიდრების გამო. პოლიციელთა უმრავლესობის თვითნებობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. პოლიცია, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი უნდა იყოს, თავად გვევლინება ადამიანის უფლებათა უპირველეს დამრღვევად. ამ უწყების თანამშრომელთა დიდი ნაწილი სისტემატურად, ან მეტ-ნაკლებად ხშირად არღვევს საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ადამიანის უფლებათა ნორმებს. პოლიცია არცთუ იშვიათად სდევნის პოლიტიკურ ოპონენტებს, მათ მიერ ირბევა მშვიდობიანი მიტინგები, მსვლელობები, ისინი ხშირად იქცევიან გამომწვევად, აგდებული ტონით მიმართავენ მოქალაქეებს, აყენებენ შეურაცხყოფას, არცთუ იშვიათად -ფიზიკურსაც, ხშირად ყოველგვარი სანქციის გარეშე ჩხრეკენ ბინებს, ქუჩაში და სხვა ადგილებში უმიზეზოდ აჩერებენ და ჩხრეკენ მოქალაქეებს. არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც ასეთ უკანონო ქმედებას თან სდევს გასაჩხრეკი პიროვნების ჯიბეში ან ბინაში ნარკოტიკების და იარაღის შეპარება, რაც შემდეგ მათგან ფულის გამოძალვის საფუძველი ხდება. ხშირად კანონის უხეში დარღვევით აკავებენ და აპატიმრებენ მოქალაქეებს. "ბოლო 6 თვეში 100-ზე მეტი ასეთი ფაქტი გამოვლინდა, 14 პოლიციელზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, დაფიქსირდა მოქალაქეთა დაკავების 17 ფაქტი, უკანონოდ აკავებენ მოწმეებსაც და დაზარალებულებსაც კი. აღრიცხულია ასეთი 172 შემთხვევა" (გაზეთი "დრონი" 6-9 აგვისტო, 1996 წელი).

დიდზე დიდი უბედურებაა, რომ პოლიციელთა მხრიდან ტრადიციად იქცა მოქალაქეთა წამება წინასწარი დაკავების იზოლატორებსა და საკნებში, გამოძიებისათვის სასურველი ჩვენების ჩამორთმევის მიზნით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ "ხშირია პოლიციელთა მიერ ცემის, წამების და ადამიანის ღირსების შელახვის სხვა ფაქტები... პოპულარული გამხდარა ჩვენებისა თუ აღიარების მოპოვების, მართალია, ბარბაროსული, მაგრამ მაინც მეთოდი - ელექტროშოკით წამება... ახლახან მსგავს ფაქტს ადგილი ჰქონდა ქუთაისში. დაიჭირეს მამა-შვილი ბუნტურები, რომლებიც ელექტროშოკით აწამეს" (გაზეთი "დრონი" 6-9 აგვისტო, 1996 წელი).

პოლიციის მხრიდან ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებზე უკანასკნელ პერიოდში ალაპარაკდა რესპუბლიკის პროკურატურაც, და პრესაშიც დაფიქსირდა ეს ფაქტი.

ბატონი კერვალიშვილი მოითხოვს: ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, თავისუფალი პრესის ჟურნალისტებთან ერთად, მიეცეთ უფლება წინასწარი დაკავებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში შესვლისა, ადგილზე ვითარების დასადგენად.

# TAVISUPALI SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

## No 31 (in brief) 10 - 16 September 1996

## Military Parade in Grosny

PARLIAMENT OF CHECHEN REPUBLIC OF ICHKERIA
COMMISSION OF FOREIGN AFFAIRS
GROSNY
THE 9 OF AUGUST 1996

On the 8-th August a meeting was hold in Grosny on the yard of the residence of the President of Republic of Georgia Zviad Gamsakhurdia, on his grave a military parade was also organized on the honor of the liberation of the capital of Ichkeria.

Political characters, MPs, regional representatives of people, military leaders, all who appeared at the meeting emphasized the part of Zviad Gamsakhurdia in the cause of liberation movement of the Caucasian people, the mutual idea of Caucasian homeland of Zviad Gamsakhurdia and Jokhar Dudajev.

During the military parade the memory of the first president of Georgia was honored. Afterwards the conscripts of the call-up swore their oath to the colors and went straight after that to military positions. The parade was led by colonel H.Yerapilov, the commander of the south-eastern front.

The Chairmen of the Commission
Mate TSIKHESASHVILI

## In Support of Chechnya Independence

On September 6, the Independence Day of Republic of Chechnya Ichkeria under the initiative of Helsinki Union, National Front - Radical Union, National-Conservative Party, Conservative League a rally in support of the soldiers fighting for the independence of Chechnya was held in the yard of Merab Kostava's house.

The member of the exiled Supreme Council of Georgia Mrs. Lia Andguladze announced that on presentation of the President of Ichkeria Mr. Zelimkhan Jandarbiev the members of the exiled Supreme Council of Georgia were accepted to the international organizations supporting Chechnya which have been founded in the Netherlands. The members of these organizations are the members of Parliaments of about 40 countries including the members of the Parliaments of the leading European Countries.

At the rally the speakers dwelled on the political situation, the unfavorable impacts caused by the puppet regime reigning in the country and by the crisis in the liberating motion of Georgia; it was noted that active, peaceful efforts are necessary to overcome this crisis. It was also stressed that the delegation of the Supreme Council was intending to go to Grozny but it turned out to be practically impossible because of the cordon created around the Chechnya by Russian troops. At the rally its participants adopted the joint Appeal to the authorities of Ichkeria and Chechen people.

## New Scandal at The Supreme Court

We believed that there was hardly anything which could have surprised the attendants of the political processes in the Supreme Court, but the recent series of incidents proved the opposite. The representatives of the state body are not satisfied with manipulations with the Law or to put it straight with their perverted use; in fact they are constantly violating the Law to demonstrate their absolute power. By this the authorities which claim themselves democratic achieve some specific goal which is to settle a score with their political opponents. This goal is successfully achieved by the member of the Supreme Court Mr. Aladashvili. To this directly testify the events developed last week. The motion put by the Prosecutor's Office about the interrogation of the additional witnesses was satisfied by the Court Board irrespective of the negative attitude of the defendants and their lawyers. As for he motion put by those latter about interrogation of the additional witnesses including the representatives of the factual authorities and the members of the Military Council (beginning from E. Shevardnadze), the persons related to the war actions in Abkhazia and armed opposition in West Georgia, it was actually rejected. Of 140 possible witnesses the Court decided to interrogate only 2. The defendants showed their protest saying the that the Prosecution presented for interrogation 512 witnesses of which more than 200 were interrogated. Proceeding from the character of the political charges brought against the defendants they consider it necessary to interrogate both the participants of military coup and the representatives of the higher echelons of the authorities. The Court turned the deaf ear to this demand and the defendants refused to participate in the course of Court hearing.

## Police is Abusing Human Rights

The President of the All-Georgia Human Rights Association Mr. Giorgi Kervalishvili appealed to the Minister of Internal Affairs Mr. Kakha Targamadze via the open letter. The letter says:

"All-Georgia Human Rights Association expresses its concern about establishing of police regime in Georgia. The willfulness of the great majority of policemen achieved the critical limit Police which should be a guarantee of human rights observance appears as the major violator of human rights. The great majority of the officers of this body regularly are abusing the human rights norms which are recognized by the International Law. Very often the police is persecuting political opponents, disperses peaceful rallies, manifestations; policemen in most cases are behaving defiantly, they talk to the citizens in offensive tone, verbally and rather often physically abuse them, often they search the flats of citizens without any search warranty, without any sound reason they stop and search citizens in the streets and other public places. These are some cases when such actions are accompanied by placing surreptitiously the drugs and weapons in the pockets or flats of the persons subjected to the search after which they try to force money from them. The citizens are often detained and arrested with the rough violation of the Law. "More than 100 such facts were confirmed since recently. The charges were brought against 14 policemen, 17 facts of detainment of the citizens have been recorded. Both the victims and the witnesses were unlawfully detained. 172 such cases have been recorded." (The newspaper "Droni", August 6-9, 1996).

Our major concern is the fact that it became a tradition for the policemen to torture the citizens in the preliminary detainment cells to force the testimonies desirable for the investigators.

It should be particularly stressed that "the facts of beating, torturing and humiliation of human dignity of the detained are rather abundant... especially popular is a barbarian method of forcing the confession from the defendants - torturing with electric shock... the recent fact took place in Kutaisi... when the father and the son Bunturis were arrested. They were tortured using electric shock" (The "Droni" newspaper, August 6-9, 1996).

Even the Republican Prosecutor's Office raised its voice against the human rights abusing on the part of the police and this fact was reflected in the press.

Mr. Kervalishvili demands: that the representatives of non-governmental human rights organizations, as well as the free press journalists are to be allowed to the places of preliminary detention to study the situation on the place.

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia

გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის ნომერია 2/4-851
იბეჭდება ს/ ს კეგელში